ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ია გაბედავა – კოლეგიის თავმჯდომარე
არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი
ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ი. ა.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.11.2019
საჩივრის რეგისტრაციის N131/19
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ფ.-ს მიმართ, /სიითი №/
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ფ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2019 წლის 5 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. ა.-მა და მოითხოვა ადვოკატ მ. ფ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას 2013 წლიდან აქვს სამოქალაქო დავა უძრავ ქონებაზე, მოწინააღმდეგე მხარე ო. რ.. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ო. რ.-მ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. 2016 წლის 15 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე ი. ა.-ს სასარგებლოდ გადაწყვეტილების გამოცხადებას (უცვლელი დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება) პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის, ო. რ.-ის ადვოკატის მ. ფ.-ის მხრიდან მოჰყვა ი. ა.-ის სიტყვიერი შეურაცხყოფა და ცილის წამება, თითქოს ი. ა.-მა მის მარწმუნებელს, ო. რ.-ს ცივი იარაღით მიაყენა ფიზიკური დაზიანება (დაჭრა).

1.3 ადვოკატის აღნიშნულ ქმედებას შედეგად მოჰყვა მომჩივანის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, კერძოდ, გულის შეტევა და წნევის აწევა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს

მანდატურებმა გამოიძახეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და საპატრულო პოლიცია. სასწრაფო სამედიცინო დახმარება დროულად მივიდა და ი. ა.-ს აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. რაც შეეხება საპატრულო პოლიციას, მათ ადვოკატი მ. ფ. გადაიყვანეს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს I განყოფილებაში. ადვოკატმა დაკითხვისას გამომძიებელთან აღიარა მომჩივნის მიმართ განხორციელებული ქმედება, ასევე, განმარტა, რომ არ აქვს მტკიცებულება მომჩივანის მიმართ, რომლითაც დაადასტურებდა პროცესზე ნათქვამს.

1.4 მომჩივანის განმარტებით, ადვოკატს აპატია მის მიმართ განხორციელებული ქმედება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს სიკეთე ადვოკატმა გამოიყენა ბოროტად. ადვოკატი ახდენს მომჩივანზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას და იყენებს საადვოკატო უფლებამოსილებას, შეცდომაში შეჰყავს როგორც კლიენტი, ასევე, საქალაქო სასამართლო. ადვოკატმა ახალი საფუძვლით შეატანინა ო. რ.-ის სარჩელი სასამართლოში, რითაც არღვევს საადვოკატო ეთიკას. ასევე ადვოკატმა ი. ა.-ის პროცესზე გამოუცხადებლობის საფუძველზე მოითხოვა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღება, რაც დაკმაყოფილდა. მომჩივანის განმარტებით, ადვოკატი სარგებლობს იმ გარემოებით, რომ მას ოჯახში ჰყავს ორი შშმ პირი: მეუღლე და შვილი. მათ დასმული აქვთ მძიმე დიაგნოზი და სახლში, მუდმივად მომჩივანის მეთვალყურეობის ქვეშ გადიან მედიკამენტოზურ მკურნალობას.

1.5 საჩივრის სრულყოფილად გამოკვლევისთვის ი. ა.-თან ჩაინიშნა კოლეგიის შეხვედრა, რომელზეც ი. ა. გამოცხადდა და დააყენა სხდომის გადადების შუამდგომლობა მასალათა მომზადების საფუძვლით, რაც დაკმაყოფილდა. ი. ა.-თან 2019 წლის 23 დეკემბერს მეორედ ჩაინიშნა სხდომა, რომელზეც არ გამოცხადებულა, რის გამოც კოლეგიის ინიციატივით განხილვა გადაიდო 2020 წლის 20 იანვარს. ი. ა. არც 20 იანვარს ჩანიშნულ სხდომაზე გამოცხადდა. ი. ა.-ს ორჯერ, 2020 წლის 21 თებერვალს და 11 სექტემბერს გაეგზავნა წერილი და განემარტა პოზიციის წერილობითი ფორმით, დამატებით მასალათა წარმოდგენის შესაძლებლობა, მაგრამ უკუკავშირი არ მოჰყოლია. ორივე წერილი ჩაბარდა თავად ი. ა.-ს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2019 წლის 16 ნოემბერს ადვოკატმა მ. ფ.-მა წარმოადგინა წერილობითი განმარტება, რომლის თანახმად, მის კლიენტს, ო. რ.-ს საკუთრებაში აქვს უძრავი ნივთი ---ს 1/3, მდებარე ქ. თბილისში, ქ. N-ში, რომელსაც რამდენიმე ათეული წელია ფლობს. 2019 წლამდე აღნიშნულ მისამართზე ო. რ.-სთან ერთად მესაკუთრეებს წარმოადგენდნენ ი. ა. და ვ. ა.. 2019 წლის იანვრიდან ი. ა.-ს საკუთრება აუქციონზე რეალიზაციის გზით შეიძინა კ. ც.-მ დღესდღეობით ქუჩა N-ში მიწის ნაკვეთსა და მთლიან სახლთმფლობელობაზე საკუთრება გააჩნია ო. რ.-ს უძრავი ნივთი ---ს 1/3, კ. ც.-ს უძრავი ნივთი ---ს 2/3 და ნ. ა.-ს ---. იმის გამო, რომ ო. რ. ამ ბინაში აღარ ცხოვრობდა და დროის გარკვეული პერიოდი ბინა დაკეტილი იყო, ი. ა.-მა გატეხა საცხოვრებელი სახლი, შეიჭრა და თავის სასარგებლოდ დაიწყო გამოყენება. იგი არ აძლევდა საშუალებას ო. რ.-ს, ესარგებლა და განეკარგა საკუთრება. ო. რ.-ის მისვლისთანავე ი. ა. იწყებდა ჩხუბს და არ უშვებდა ო. რ.-ს მის ტერიტორიაზე.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ზემოაღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარე, მისი კლიენტი ჯერ კიდევ 2010 წლიდან გახდა იძულებული, მიემართა სასამართლოსთვის და მოეთხოვა საზიარო უფლების გაუქმება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან ი. ა.-მა არცერთხელ არ შეუშვა ბინაში ექსპერტები იმის დასადგენად შესაძლებელი იყო თუ არა საზიარო უფლების ნატურით გაყოფა, ხოლო სასამართლომ ექსპერტიზის დასკვნის არარსებობის პირობებში შეუძლებლად მიიჩნია საზიარო საგნის ნატურით გაყოფა. 2014 წელს ადვოკატმა კვლავ მიმართა სასამართლოს საზიარო საგნის აუქციონზე რეალიზაციისა და ამონაგები თანხის წილების პროპორციულად გაყოფის მოთხოვნით. ეს სარჩელი, საბოლოოდ გამოიხმეს, ვინაიდან ი. ა. აღარ ფლობდა საკუთრებას, ხოლო მესაკუთრეებს საზიარო უძრავ ნივთზე დავა აღარ ჰქონდათ, ამიტომ სასამართლოში დავის გაგრძელებამ აზრი დაკარგა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ო. რ.-ის თანამესაკუთრე კ. ც.-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ი. ა.-ის უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა. გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში და გამოცემულია სააღსრულებო ფურცელი.

2.4 ადვოკატის განმარტებით, რადგან ი. ა. მისი კლიენტის კუთვნილ უძრავ ნივთსაც ფლობს, მან მიმართა სასამართლოს გამოთხოვილიყო ნივთი ი. ა.-ის უკანონო მფლობელობიდან. სარჩელი დაკმაყოფილდა. სასამართლომ ი. ა.-ის მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ამ გადაწყევტილებამ გააღიზიანა ი. ა. და სწორედ ამიტომ შემოიტანა საჩივარი ეთიკის კომისიაში. ადვოკატის განმარტებით, თითქმის 10 წლის მანძილზე იგი წარმოადგენს ო. რ.-ის ადვოკატს. ი. ა. მას მუდმივად ესხმის თავს, ემუქრება, რომ უჩივლებს პროკურატურაში, ,,პასუხს აგებინებს", ,,ადვოკატობას დაატოვებინებს" და ა.შ.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ი. ა.-ის საჩივარი დაფუძნებულია ცრუ ფაქტებზე, კერძოდ, 2013 წლის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში მასსა და მის კლიენტს არ გაუსაჩივრებიათ. სააპელაციო საჩივარი წარადგინა შეგებებული სარჩელით ვ. ა.-მა, რომელსაც სარჩელი არ დაუკმაყოფილდა. ამასთანავე, ადვოკატი აღნიშნავს, რომ არასდროს, არსად ი. ა.-ის მიმართ აგრესია არ გამოუჩენია. თუკი ვინმე აგრესიას იჩენდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე თუ მთელი 10 წლის განმავლობაში, ეს იყო სწორედ ი. ა.. ამას ადასტურებს სასამართლოს სხდომის ოქმი და არაერთი მოწმე.

2.6 რაც შეეხება ი. ა.-ის მიმართ სიტყვიერ შეურაცხყოფასა და ცილისწამებას, ადვოკატი აღნიშნავს, რომ სასამართლო სხდომაზე ნამდვილად თქვა, რომ ი. ა.-მა ო. რ.-ს მოუქნია დანა, როცა იგი აპირებდა საკუთრებაში შესვლას, მაგრამ ეს ფაქტი არ არის ადვოკატის მოგონილი, ინფორმაცია ადვოკატმა მიიღო კლიენტისგან. ამ ფაქტის დადასტურება შეუძლია თავად ო. რ.-ს. ამასთანავე, ადვოკატის თქმით, ი. ა. ცრუობს, როდესაც საუბრობს თბილისის სააპელაციო სასამართლოში მომხდარ ინციდენტზე. ადვოკატის თქმით, ადვოკატი არ გადაუყვანია მანდატურების მიერ გამოძახებულ პოლიციას, არც ი. ა.-ის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებულა სადავო ფაქტის შემდეგ. ადვოკატი პროცესიდან რამდენიმე დღეში დაიბარა გამომძიებელმა და მივიდა

გასაუბრებაზე. ადვოკატ მ. ფ.-ის თქმით, ი. ა.-თან არ აკავშირებს არანაირი ურთიერთობა და საერთოდ არ ფლობს ინფორმაციას მისი ოჯახის წევრების შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ფ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი N/, სპეციალიზაცია – სამოქალაქო სამართალი.

3.2 ი. ა.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2019 წლის 5 ნოემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2016 წლიდან. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული ეთიკის კომისიისადმი საჩივრით მომართვის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ფ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის, ო. რ.-ის ადვოკატმა მ. ფ.-მა 2016 წლის 15 ნოემბრის სააპელაციო სასამართლოს განხილვის სხდომაზე მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და ცილი დასწამა, თითქოს ი. ა.-მა მის მარწმუნებელს, ო. რ.-ს ცივი იარაღით მიაყენა ფიზიკური დაზიანებები (დაჭრა); ადვოკატი არასწორად იყენებს საადვოკატო უფლებამოსილებას, ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენს ი. ა.-ზე, ასევე შეცდომაში შეჰყავს კლიენტი, ო. რ. და მან ახალი საფუძვლით მიმართა სარჩელით სასამართლოს, ასევე ი. ა.-ს სარჩელზე მისი გამოუცხადებლობის გამო იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე და ამით შელახა მისი, როგორც მოწინააღმდეგე მხარის უფლებები.

5.2 ეთიკის კომისიამ ადვოკატ მ. ფ.-ის ქცევა შეამოწმა შემდეგი მუხლების ფარგლებში:

,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 5 (გ) მუხლი: ,,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები."

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდეგში ,,აპეკ"-ის) მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი: "ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას".

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი: ,,ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით."

5.3 ეთიკის კომისია ადვოკატის მიმართ არსებულ პრეტენზიებს იკვლევს „ადვოკატთა შესახებ" კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით ადვოკატისთვის დადგენილი ვალდებულებების ფარგლებში. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, ქცევის მაღალი სტანდარტი მოეთხოვება. ადვოკატი უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის ვალდებულება ადვოკატს ეკისრება არა მარტო სასამართლოში ან სასამართლოს ფუნქციის მატარებელ სხვა ორგანოში, არამედ იგი მოვალეა ნებისმიერ სიტუაციაში შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება.

5.4 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z.v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა."

5.5 საჩივრის ავტორის, ი. ა.-ის პრეტენზია გამომდინარეობს პროცესის მონაწილე პირის მიმართ ადვოკატისთვის დადგენილი ქცევის სტანდარტიდან, რა დროსაც ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს პროცესის მონაწილე პირის, მათ შორის მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის უფლებები, გამოიჩინოს პატივისცემა და აზრის გამოხატვისას იყოს კორექტული. საჩივრის ავტორის პრეტენზიით, ადვოკატმა მ. ფ.-მა ცილი დასწამა მას თბილისის სააპელაციო სასამართლო სხდომაზე გაკეთებული განმარტებით, როდესაც განაცხადა, რომ ი. ა.-მა მის მარწმუნებელს, ო. რ.-ს მიაყენა ცივი იარაღით ჭრილობები. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის 1(ე) მუხლის მიხედვით, „ცილისწამება არის არსებითად მცდარი ფაქტის შემცველი და პირისთვის ზიანის მიმყენებელი, მისი სახელის გამტეხი განცხადება". ამ უფლების ხელყოფის თავიდან აცილების ან აღკვეთის, აგრეთვე უკანონო ზემოქმედებისა და ჩარევის შედეგად დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით, პირს უფლება აქვს სარჩელით მიმართოს სასამართლოს (მუხლი 6.1). ეთიკის კომისიას უფლება აქვს იმსჯელოს ადვოკატის გაკეთებული განცხადებები რამდენად ეთიკური იყო. ადვოკატი მ. ფ. აღიარებს, რომ მან სასამართლო სხდომაზე ნამდვილად თქვა, რომ ი. ა.-მა ო. რ.-ს მოუქნია დანა,

როცა იგი აპირებდა თავის სახლში შესვლას, მაგრამ ეს ფაქტი მას არ მოუგონია, ინფორმაცია ადვოკატმა მიიღო კლიენტისგან, ამის უშუალო მოწმე თავად ო. რ.. სასამართლო სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერით დგინდება, რომ პროცესის მიმდინარეობისას ადვოკატმა მ. ფ.-მა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა: ,,ჩემს მარწმუნებელს ბეჭში დანა ჩაარტყა." აღნიშნულს გამოეხმაურა პროცესზე მყოფი ი. ა. და ადვოკატმა დააზუსტა, რომ ი. ა.-ს ეხებოდა მისი განცხადება და განმარტა, რომ ფაქტი 2007 წელს მოხდა. ი. ა.-მა ხმამაღლა განაცხადა, რომ ადვოკატ მ. ფ.-ს დააჭერინებდა ცილისწამების გამო და ვინაიდან მან დაარღვია სხდომაზე წესრიგი, სასამართლოს შემადგენლობამ ი. ა.-ს დაატოვებინა სხდომის დარბაზი. ამავე სხდომის ოქმით დადგინდა, რომ სიმართლეს არ შეესაბამება ი. ა.-ს განმარტება იმის შესახებ, რომ ადვოკატი მ. ფ. გადაიყვანეს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს I განყოფილებაში, ვინაიდან ინციდენტის შემდეგ გარკვეული პერიოდი პროცესი გაგრძელდა.

5.6 ი. ა.-ის მიერ წარმოდგენილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტმანეტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პოლიციის I განყოფილების 2016 წლის 14 დეკემბრის წერილით დგინდება, რომ ი. ა.-ს 2016 წლის 15 ნოემბრის შეტყობინების საფუძველზე გამოძიება შეწყდა. ამავე წერილით დგინდება, რომ პოლიცია გაესაუბრა ადვოკატ მ. ფ.-ს, რომელმაც განყოფილებაში განმარტა, რომ მას არ გააჩნდა მტკიცებულება ი. ა.-ის მხრიდან ო. რ.-ისთვის რაიმე არაკანონიერი ქმედების ან დანაშაულის ჩადენის შესახებ. შესაბამისად, ადვოკატმა გააჟღერა კლიენტისგან მიღებული ინფორმაცია, რაც ადვოკატის, როგორც კლიენტის ინტერესების დამცველის უფლებას წარმოადგენს და ეთიკურია, ვინაიდან ამ ინფორმაციის სასამართლოსათვის განდობა ემსახურებოდა იმ ფაქტის განმტკიცებას, რომ ი. ა. არ აძლევდა შესაძლებლობას ადვოკატის კლიენტს, უძრავი ქონების მესაკუთრეს შესულიყო ბინაში. მსგავსი შინაარსის შემცველი ტექსტის სასამართლოს სხდომაზე გაჟღერება მოიცავდა მხოლოდ სასამართლოს ინფორმირების მიზანს, რათა მესამე მხარეს ნათლად აღექვა არსებული სიტუაციის სირთულე და პრობლემატურობა.

5.7 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატს არა თუ უფლება აქვს, არამედ ვალდებულია გამოიყენოს ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს ორიენტირებული კლიენტზე და მიზნად ისახავდეს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას. ადვოკატს შეუძლია თავად შეარჩიოს სტრატეგია კლიენტთან შეთანხმებით, მოიპოვოს მტკიცებულებები და გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა საშუალება რომელიც არ იქნება კანონსაწინააღმდეგო. ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ „ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტი და წარმოადგინოს მისი კანონიერი ინტერესები მხოლოდ მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატმა ყველა ღონე უნდა იხმაროს კლიენტის ინტერესების დასაცავად სასამართლოში, მაგრამ ეს მოქმედებები სასამართლოში დადგენილი ქცევის წესებით და პროცესუალური კანონმდებლობით არის განსაზღვრული, რისი დაცვის ვალდებულება ასევე ეკისრება ადვოკატს" (იხ. ეთიკის კომისიის 2011 წლის 22 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე N010/10).

5.8 ადვოკატი მ. ფ. იცავდა ი. ა.-ის მოწინააღმდეგე მხარის, ო. რ.-ის ინტერესებს და მოქმედებდა სწორედ მისი ინტერესებით. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ადვოკატს ანიჭებს შესაძლებლობას ახალი სამართლებრივი საფუძვლით მიმართოს სასამართლოს სარჩელით, დააყენოს შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე და შეასრულოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც გამომდინარეობს კლიენტის ინტერესიდან და არის მასთან შეთანხმებული. შესაბამისად, კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომ ადვოკატს კლიენტი შეცდომაში შეჰყავს, ვინაიდან ადვოკატი მოქმედებდა საქმიანობის ფარგლებში, იგი მომსახურებას უწევდა კლიენტს და მისი პროფესიული ვალდებულებაა შეარჩიოს კლიენტისთვის მისაღები და კანონმდებლობით დასაშვები საშუალებები უძრავ ქონებაზე მიმდინარე დავის ფარგლებში. ადვოკატისა და კლიენტის შეთანხმებულად მუშაობაზე მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ თითქმის 10 წელია ადვოკატი მ. ფ. წარმოადგენს ო. რ.-ის ადვოკატს და ბუნებრივია, რომ მოწინააღმდეგე მხარისათვის, ი. ა.-ისთვის, მოსაწონი არ არის ადვოკატ მ. ფ.-ის მიერ შერჩეული სამოქალაქო საქმის წარმოების სტრატეგია.

5.9 საჩივრის ავტორის პრეტენზიები ასევე უკავშირდება ადვოკატის მხრიდან მის მიმართ ფსიქოლოგიურ ზეწოლასა და ადვოკატის მიერ კლიენტის განზრახ შეცდომაში შეყვანას, რაც ამ ეტაპზე დისციპლინურ საქმეში ი. ა.-ის მიერ წარმოდგენილი მასალით არ დგინდება. კოლეგიამ არაერთხელ მისცა ი. ა.-ს ზეპირ განხილვაში მონაწილეობის საშუალება, თუმცა იგი მხოლოდ ერთ სხდომაზე გამოცხადდა, რომელზეც დააყენა სხდომის გადადების შუამდგომლობა და დანარჩენ სხდომებზე არ გამოცხადებულა. საქმის სრულყოფილად გამოკვლევისთვის კოლეგიამ ორჯერ მისცა ი. ა.-ს პოზიციის წერილობით წარმოდგენისთვის დამატებითი დრო, რაც ასევე არ გამოიყენა საჩივრის ავტორმა. შესაბამისად, კოლეგიამ იხელმძღვანელა დისციპლინურ საქმეში არსებული მასალით, რომლითაც არ დგინდება საჩივრის ავტორის პრეტენზიები და ადვოკატ მ. ფ.-ს პროფესიულ ქცევაში არ დასტურდება მოწინააღმდეგე მხარესთან ურთიერთობაში რომელიმე ეთიკური სტანდარტის დარღვევა.

5.10 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 27-ე მუხლით, 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N131/19 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ მ. ფ.-ის /სიითი N/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე:	/ია გაბედავა/
კოლეგიის წევრი:	/არჩილ ჩოფიკაშვილი/
კოლეგიის წევრი:	/ბესარიონ ბოხაშვილი/